

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ სექტემბერი, 2019 წელი

ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლებით გადაეცეს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25ა-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11,40 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502), 15390,0 ლარის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის 20000,0 (ოცი ათასი) ლარად პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის 20000,0 (ოცი ათასი) ლარად პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემა.

გ) წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი ფორმით საკუთრებაში განკარგვიდან შემოსული თანხები უნდა ჩაირიცხოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (ჯ. ფუტყარაძე) უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

აა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 01 აგვისტოს №034 (#20831/25) წერილით მომართა შპს „პიატა ჰოლდინგ“-მა, რომელშიც აღნიშნა, რომ შპს „პიატა ჰოლდინგ“-ს სასტუმროების კომპლექსი მდებარეობს ქ. ბათუმის ისტორიულ ზონაში და მას არ გააჩნია არანაირი დამხმარე ნაგებობა, რაც ართულებს იქ არსებული ობიექტების ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „პიატა ჰოლდინგ“-ის მიერ მოთხოვნილი იქნა ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11,40 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502) შპს „პიატა ჰოლდინგ“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, აღნიშნულ ფართში დამხმარე ნაგებობის ფუნქციონირების მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 20 აგვისტოს №25/19611 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ზემოაღნიშნული ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადასაცემად შესაბამისი პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით, შემდგომში შპს „პიატა ჰოლდინგ“-სათვის პირდაპირი წესით განკარგვის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 09 სექტემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის №2015/02 წერილი (#23447/25), რომელშიც მოყვანილია ზემოთაღნიშნული გარემოებები, საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერები და აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11,40 კვ.მ. ფართი გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში. შემდგომში შპს „პიატა ჰოლდინგ“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით გასხვისების მიზნით და ითხოვს შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის №25-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11,40 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შპს „აუდიტ ეკონომიკსი“-ს 2019 წლის 05 სექტემბრის #ბთ/მ-42 დასკვნით აღნიშნული უძრავი ქონების საწყის საპრივატიზებო ღირებულებად განსაზღვრულია 15390,0 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული არასაცხოვრებელი ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში მისი შპს „პიატა ჰოლდინგ“-სათვის პირდაპირი ფორმით 20000,0 ლარად განკარგვის მიზნით, ქონების საკუთრებაში განკარგვიდან შემოსული თანხების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვის პირობით.

აბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის #25ა-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11,40 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი ფორმით განკარგვის მიზნით და შპს „პიაცა ჰოლდინგი“-ს სასტუმროების კომპლექსისათვის დამხმარე ფართის მოწყობის საკითხში ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება უძრავი ქონების პრივატიზების თანხით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



დავით კობონაძე



LLC "Piazza Holding"

Ad: 20, Gorgasali str. Batumi
ID. 445 394 626

Mob: +995 599 732 889
Tel: +995 (0) 322 611 537

29.07.19 წელი

034

ქალაქ ბათუმის მერს
ზატონ ლაშა კომპანიებს

ზატონო ლაშა.

გაცნობებით, რომ შპს „პიაჯა ჰოლდინგ“-ის მიერ 2011 წლის 17 მარტს ქ. ბათუმის მერიისგან, ღია აუქციონის წესით, 11 000 000 ლარად შეძენილი იქნა ე.წ. „ბათუმის პიაჯა“ კომპლექსი. 2012 წლის 27 ივნისს ჩვენ დამატებით, კერძო შესაკუთრესაგან 522 000 აშშ დოლარად შევიძინეთ 332.57 კვ.მ ფართობი, ხოლო 2016 წლის 29 ივლისს 3 000 000 აშშ დოლარად შევიძინეთ იქნა კიდევ 949.90 კვ.მ. ფართობის შენობა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, კომპანიის მიერ საერთო ჯამში განხორციელდა 25 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია. დრეისათვის პიაჯაზე ფუნქციონირებს სამი სასტუმრო: Piazza Inn 42 ნომერი, Piazza four colour 85 ნომერი, Piazza boutique 16 ნომერი, სულ 143 სასტუმრო ნომრით, ქართულ-ევროპული რესტორნები: La Briuche, The quiet women pub, მიმინო პაგეტა გასართობი ცენტრი: Piazza Wonderland, სუვენირების მაღაზია და იტალიური სანაყისე Bellamia. სულ აღნიშნულ ობიექტებში წლის განმავლობაში მუდმივად დასაქმებულია 109 საქართველოს მოქალაქე, ხოლო სეზონურად დასაქმებულია რაოდენობა აკარბებს 220 -ს.

ვინაიდან ჩვენი კომპლექსი მდებარეობს ქ. ბათუმის ისტორიულ ზონაში, მას არ გააჩნია არანაირი დამზარე ნაგებობები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს იქ არსებული ობიექტების სორცალურა ფუნქციონირება. ამასთან ქ. ბათუმის მერიას საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება მდებარე ფარჩავაზ მეფეს 25ე-ში (საკადასტრო კოდით # 05.21.28.020.01.500) აღნიშნული ქონება უშუალოდ ესახლება ჩვენს საკუთრებას და

01 20831/25 19

ძისი ნაწილი, კერძოდ დაახლოებით 12 მ² ფართი არის თავისუფალი და გამოუყენებელი
იხილეთ დანართი).

აღნიშნულას გათვალისწინებით გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული ფართის
ჩვენთვის პირდაპირი მფლობელის ფორმით პროვატიზების საკითხი. საკითხის დადებითად
ადაწყვეტა ხელს შეუწყობს შიდას ტერიტორიაზე არსებული იზოქტების გამართულ
პუნქციას და კიდევ უფრო მოწყობოებს მის ეკონომიკურ მზარეს.

დანართი:

1. ამონაწერი,
2. ამომეითი ნახაზი.

პატრონსკვით,

დირექტორები



გ.გ. ჯიღლაძე

ი. კანდელაკი



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/19611
 20/08/2019

19611-25-2-201908201759



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
 ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
 ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

ბატონო ჯაბა,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სს „პიაცა ჰოლდინგი“-ს #034 (რეგ. #20831/25 01.08.2019წ.) წერილი, რომელიც ეხება ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის #25^ა-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილის, კერძოდ 11,40 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502) ფართის სს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას.

როგორც ცნობილია, საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის ფორმით. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილი არაა განახორციელოს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 108-ე მუხლის (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად კი, თუ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასაბუთებული მოთხოვნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საკითხს განსახილველად წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება სკითხთან დაკავშირებით.


პატივისცემით,

ლამა კომახიძე

ლ. კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი





4225-01-01-10-2-201908201909



N 01-01-10/4225

20/08/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

თქვენი 2019 წლის 20 აგვისტოს N25/19611 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 266 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილის 11.40 კვ.მ ფართის (ს/კ 05.21.28.020.01.502) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვის შემთხვევაში, პირდაპირი ფორმით განკარგვის საკითხი.

პატივისცემით,

თინათინ ზოიძე

მინისტრის მოადგილე





№ 2015/02

"09" 09 2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 06 სექტემბრის N01-01-10/4472 კორესპონდენცია ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 266 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11.40 კვ.მეტრი ფართის (ს/კ 05.21.28.020.01.502) შპს „პიაცა ჰოლდინგზე“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება არ ითვალისწინებს მუნიციპალური ქონების პირდაპირი წესით განკარგვას.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელებდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 266 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11.40 კვ.მეტრი ფართის (ს/კ 05.21.28.020.01.502) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში პოზიტიური პირობით გადმოცემა. შემდგომში, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების მიზნით.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე უძრავ ქონებაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11.40 კვ.მეტრი ფართი (ს/კ 05.21.28.020.01.502).

დანართი: „ 11 “ ფურცელზე.

პატივისცემით,

თორნიკე რივაძე







ბიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.21.28.020.01.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882011375529 - 03/08/2011 17:12:11

მომზადების თარიღი
09/08/2011 15:38:30

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ბათუმი	სექტორი				ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
	21				დამუსტგებული ფართობი: 266.00 კვ.მ.
05	21	28	020	01/500	ნაკვეთის წინა ნომერი: 05.21.28.010;
მისამართი: ქალაქი ბათუმი, ქუჩა ფარნავაზ მეფე, N 25-					შენიშვნა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 570.50
ბ					

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882011375529, თარიღი 03/08/2011 17:12:11
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/08/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა, N25-04/3753, გაფორმების თარიღი: 04/11/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- ხელშეკრულება სახელმწიფო ქონების ქ. ბათუმის თვითმმართველობისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, N090571572, გაფორმების თარიღი: 29/09/2009, ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- ნასყიდობის ხელშეკრულება, N100190995, გაფორმების თარიღი: 04/03/2010, ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა, N25-04/3732, გაფორმების თარიღი: 03/11/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა, რეესტრის ნომერი N05-03/18421, დამოწმების თარიღი 27/12/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა, N25-04/3491, გაფორმების თარიღი: 15/10/2010, ქ. ბათუმის მერია
- მომართვა N25-04/2716, დამოწმების თარიღი: 02/08/2011, ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება, N100182365, გაფორმების თარიღი: 02/03/2010, ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- ნასყიდობის ხელშეკრულება, N100585002, გაფორმების თარიღი: 16/06/2010, ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა, N25-04/3751, გაფორმების თარიღი: 04/11/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა, N25-04/3733, გაფორმების თარიღი: 03/11/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა, N25-04/1469, გაფორმების თარიღი: 17/02/2011, ქ. ბათუმის მერია
- მომართვა, N25-04/2578, გაფორმების თარიღი: 28/07/2010, ქალაქ ბათუმის მერია

მესაკუთრეები:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია	საკუთრება	ფართი სართული 1, ბლოკი "გ"	85.10 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საუკრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერი ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: <http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ებ გვერდზე, ელექტრონულად ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან "ლიბერთი ბანკის" სერვისშიერ ფილიალში.



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019671163 - 16/08/2019 14:48:41

მომზადების თარიღი
16/08/2019 16:17:44

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: თანასაკუთრება
ბათუმი	სექტორი 21				ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 266.00 კვ.მ.
05	21	28	020	01/502	ნაკვეთის წინა ნომერი: 05.21.28.010; შენიშვნა-ნაგებობები: N 1 შენიშვნა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართობი: 570.00

მისამართი: ქალაქი ბათუმი, ქუჩა ფარნავაზ მეფე, N 25-
გ

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011375529 , თარიღი 03/08/2011 17:12:11
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/08/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა , N25-04/3732 , გაფორმების თარიღი:03/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , N100182365 , გაფორმების თარიღი:02/03/2010 ,ნოგარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა N25-04/2716 , დამოწმების თარიღი:02/08/2011 , ქალაქ ბათუმის მერია
- ხელშეკრულება სახელმწიფო ქონების ქ. ბათუმის თვითმმართველობისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ , N090571572 , გაფორმების თარიღი:29/09/2009 ,ნოგარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა , N25-04/3751 , გაფორმების თარიღი:04/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა , N25-04/3733 , გაფორმების თარიღი:03/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , N100585002 , გაფორმების თარიღი:16/06/2010 ,ნოგარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა , N25-04/1469 , გაფორმების თარიღი:17/02/2011 , ქ.ბათუმის მერია
- მომართვა , N25-04/3753 , გაფორმების თარიღი:04/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , N100190995 , გაფორმების თარიღი:04/03/2010 ,ნოგარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა , N25-04/2578 , გაფორმების თარიღი:28/07/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა, რეესტრის ნომერი N05-03/18421, დამოწმების თარიღი27/12/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა , N25-04/3491 , გაფორმების თარიღი:15/10/2010 , ქ.ბათუმის მერია

მესაკუთრეები:

სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე:	საკუთრების გიპი:	საკუთრება:	ფართობი:	წილი:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი სართული,ბლოკი "გ"	11.40 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსაელო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეუნიკური ხარევის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაყეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დასკვნა აბთ/მ-42 (05.09.19წ)

წინამდებარე საშემფასებლო ანგარიში მომზადებულია 2019 წლის 5 სექტემბერს, რის საფუძველსაც წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აუდიტ-ეკონომიკს“-ს შორის 2019 წლის 10 იანვარს გაფორმებული №4 ხელშეკრულება.

შეფასების საგანია საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება(დამკვეთის დავალების შესაბამისად). საშემფასებლო ანგარიშში მოცემული ღირებულება წარმოადგენს შემფასებლის მიერ პროფესიული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე ჩატარებული განსჯის შედეგს და ქონების ღირებულების შესახებ ობიექტურად დასაბუთებულ აზრს. პირველ რიგში განხილვას დაექვემდებარა მიწის ნაკვეთის საუკეთესო და ყველაზე ეფექტური გამოყენების საშუალება.

შეფასებას დაექვემდებარა ქ.ბათუმში, ფარნავაზ მეფის #25-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 11.40 კვ/მ ფართის (ს/კ 05.21.28.020.01.502) ღირებულების დადგენა.

მონაცემები შეფასების ობიექტის ფიზიკური და სამართლებრივი მახასიათებლების, ასევე ღირებულების ფორმირებაზე არსებითი ზეგავლენის მომდენი ფაქტებისა და გარემოების შესახებ მოყვანილია წარმოდგენილი დასკვნის შესაბამის ნაწილებსა და დანართებში.

დასკვნაში მოყვანილი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით 2019 წლის 5 სექტემბერის, მდგომარეობით 11.40 კვ/მ ფართის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს 15 390.00 ლარს (ს/კ 05.21.28.020.01.502).

კვლევა ჩატარებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული გამოცემის შესაბამისად.

შემფასებელი ადასტურებს შემდეგს:

- მოცემულ დასკვნაში წარმოდგენილი კვლევები, გაანგარიშებები და დასკვნები ნამდვილია შესაბამისი დამოუკიდებლობის, შეზღუდვების და ობიექტის შეფასების შედეგის გამოყენების შეზღუდვის გათვალისწინებით;
- შეფასება განხორციელებულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, შემფასებლის ქვეყნის კოდექსის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემფასებლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით;
- შემფასებელს არც წარსულში, არც აწმყოში და არც უახლოეს მომავალში არ გააჩნდა, არ გააჩნია და არ ექნება რაიმე პირადი ინტერესი შესაფასებელი ქონების მიმართ;
- შემფასებლის ანაზღაურება დამოკიდებული არ არის შეფასების რომელიმე ასპექტზე;
- შემფასებლის განათლება შეესაბამება შეფასებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;
- მოხდენილია შესაფასებელი ქონების ინსპექტირება;
- ფაქტობრივი და სავარაუდო მონაცემები, რომელსაც ეყრდნობა შეფასების შედეგად მიღებული ღირებულების სიდიდე, შეგროვებული და შესწავლილი იქნა კეთილსინდისიერად და საფუძვლიანად

შეფასების მიზანი

ნაკვეთის საუკეთესო გამოყენების საშუალების შეფასებისას განიხილება ორი ვარიანტი – პირობითად თავისუფალი ნაკვეთისთვის და არსებული გაუმჯობესებების მქონე მიწის ნაკვეთისთვის. უძრავი ქონების ადგილობრივი ბაზრის განვითარების არასათანადო დონის გამო, შემოსავლების მოცემის უნარის მქონე უძრავი ქონების ეკონომიკურად დასაბუთებული ღირებულების შესაფასებლად, მირითად საშემფასებლო მიდგომად გამოყენებულ იქნა შემოსავლების განაღდების (კაპიტალიზაციის) მიდგომა, ამ მიდგომას საფუძველად უდევს მოსაზრება, რომ ნებისმიერ ქონებაში მყიდველი, ალტერნატიული დაბანდების შესაძლებლობის გათვალისწინებით, გადაიხდის სწორედ იმდენს, რა ოდენობის წმინდა შემოსავლების მოცემაც შეუძლია ქონებას. რადგან საშუალება მოგვეცა, ჩაგვეტარებინა საბაზრო მონაცემების მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ანალიზი, ქონების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა გაყიდვათა პირდაპირი შედარების, გაუმჯობესების მიმართ ასევე გამოიყენება დანახარჯების გაანგარიშების მიდგომა რომელიც გულისხმობს არსებული გაუმჯობესების აშენებაზე სადღეისოდ გასაწევი ხარჯების ანალიზს, მიმდინარე ფასების გათვალისწინებით. საშემფასებლო სამუშაოები შესრულდა 2019 წლის სექტემბერში. ამდენად, ქონების ღირებულება სამართლიანია შეფასების თარიღისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური სიზუსტით შეფასება შეუძლებელია, რადგან შეფასების შედეგად დგინდება მხოლოდ სავარაუდო ღირებულება, აისახება შემფასებლის დასაბუთებული აზრი ქონების ღირებულების შესახებ და არა ფასი. ფასი არის ფაქტი, უკვე განხორციელებული გარიგების შედეგად დაფიქსირებული თანხა.

შესაფასებელი ქონების სისრულეზე და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს. ანგარიში მომზადებულია საშემფასებლო საქმიანობის თაობაზე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.



II. შეფასების ხარისხის სერტიფიკატი

მოცემულ ანგარიშის ხელის მომწერი შემფასებლები (შემდგომში შემფასებლები) ნამდვილად ადასტურებენ, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით:

- ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არის სარწმუნო და შეესაბამება სინამდვილეს.
- ანალიზი და დასკვნები, რომელსაც შეიცავს ანგარიში ეკუთვნით შემფასებლებს და ნამდვილია მკაცრი შეზღუდვების და დაშვებების საზღვრებში, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული ანგარიშის ნაწილს.
- შემფასებლებს არ გააჩნიათ აწმყოში და მომავალში რაიმე დაინტერესება შესაფასებელ ობიექტთან და მოქმედებენ მიუკერძოებლად.
- შემფასებლის ჰონორარი არ არის დამოკიდებული შეფასების საბოლოო ღირებულებაზე და აგრეთვე იმ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას დამკვეთის ან მესამე პირის მიერ ანგარიშში მოცემული დასკვნების გამოყენებისას.
- შეფასება ჩატარდა და ანგარიში დაიწერა მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- ანგარიშში მოყვანილი ფაქტები, რის საფუძველზეც იქნა ჩატარებული ანალიზი, გაკეთდა ვარაუდები და დასკვნები, შეკრებილია ჩვენს მიერ, ჩვენი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით და ჩვენი აზრით უტყუარია და არ შეიცავს ფაქტიურ შეცდომებს.
- შემფასებლებმა პირადად მოახდინეს შესაფასებელი ქონების დათვალიერება.
- მონაცემთა ანალიზის პროცესში არცერთი პირი არ უწყვედა რაიმენაირ არსებით დახმარებას ანგარიშის ხელის მომწერ შემფასებლებს.
- შემფასებლები ვალდებული არ არიან საიდუმლოდ შეინახონ ის მონაცემები, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მოცემული შეფასების შესრულების დროს. დამკვეთისგან წინასწარ მიღებული წერილობითი თანხმობის გარეშე არ გასცენ საერთო ან ნაწილობრივი ინფორმაცია მესამე მხარესთან.
- შემფასებლები ამ დასკვნის მიხედვით ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ დამკვეთის წინაშე.

III. შემზღუდავი პირობები და დაშვებები

ისევე, როგორც ნებისმიერი შეფასებისას, მოცემულ შეფასების პროცესს თან ახლდა შემზღუდავი პირობები. ამიტომ შემფასებლის მიერ გაკეთებულია (მიღებულია) აუცილებელი დაშვებები:

- შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი შესაფასებელი ობიექტის საკუთრების უფლების იურიდიულ აღწერაზე საკუთრების უფლება ითვლება სარწმუნოდ. შესაფასებელი საკუთრების უფლება განიხილება, როგორც თავისუფალი რამენაირი პრეტენზიის ან შეზღუდვისაგან.
- იგულისხმება (ითვლება), რომ ქონება არ არის შეზღუდული რაიმე ვალდებულებებით და არ არის დატვირთული გირავნობით ან სხვა სახით.
- განცხადების თანახმად შემფასებელმა უნდა დაადგინოს შესაფასებელი უძრავი ქონების ღირებულება, ანუ ყველაზე სავარაუდო ფასი დადგენილი თარიღისათვის.
- შემფასებელი არ გულისხმობს რაიმე სახის ფარული ფაქტორების არსებობას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შესაფასებელი ქონების ღირებულებაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას ასეთი ფაქტორების არსებობაზე.
- შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი უძრავი ქონების იმ მდგომარეობის შეფასებაზე, რომლის აღმოჩენა შეუძლებელია ვიზუალური დათვალიერებით.
- ანალოგებზე მონაცემები აღებულია გამოცემებისა და ფირმების ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელთაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორი. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ შეფასების თარიღისათვის არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს მოძრავი ქონების ბაზარზე არსებული სიტუაციის ზუსტი ან მიახლოებული სტატისტიკური მონაცემები.

IV. ძირითადი ფაქტები და განმარტებები

შეფასების ჩატარების საფუძველი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აუდიტ-ეკონომიქს“-ს შორის 2019 წლის 10 იანვარს გაფორმებული №4 ხელშეკრულება
ქონების ტიპი	არასაცხოვრებელი ფართი
მიმდინარე გამოყენება	ფუნქციონალური დანიშნულებით
მესაკუთრე	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი
დამკვეთი	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი



შეფასების მიზანი	თვითღირებულება ცვეთის გათვალისწინებით
შეფასების გამოყენება	საკონსულტაციო
შეფასების ბაზა	შეფასების საერთაშორისო სტანდარტი - 400 (ინტერესი უძრავ ქონებაში)
საბაზრო ღირებულება	შეფასებითი თანხა, რომლითაც აქტივი უნდა გაიცვალოს ან (იჯარით გაიცეს) შეფასების თარიღისათვის, გარიგების მსურველ გამყიდველსა და მყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ, „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებულ გარიგებაში, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად.
ღირებულება მარკეტინგული არარსებობისას	სათანადო პერიოდის
ღირებულება მარკეტინგული არარსებობისას	სათანადო პერიოდის
საწყისი ღირებულება/თანხა	საპრივატიზაციო
საპრივატიზაციო	სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის/მართვის უფლებით გადაცემისას საპრივატიზაციო/მართვის უფლებით გადასაცემი ქონების მინიმალური ღირებულება, რომელზედაც ვაჭრობისას ხორციელდება ფასის მატება.
ობიექტის ინსპექტირების თარიღი	03.09.2019
დასკვნის შედგენის თარიღი (პერიოდი)	05.09.2019
შეფასების ეფექტური თარიღი	05.09.2019
შეფასების მეთოდი	შესაფასებელი ობიექტის ღირებულების გამოთვლის წესი ერთერთი მიდგომის ფარგლებში; (ხერხი) შეფასების
ფასი	აქტივის შესაძენად მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გადახდილი თანხა, მოცემული მყიდველის ან გამყიდველის ფინანსური შესაძლებლობების, მოტივაციის ან სპეციფიკური ინტერესის გამო გადახდილი ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რომელსაც მოცემულ აქტივს სხვები ანიჭებენ;
თვითღირებულება	აქტივის შესაძენად ან შესაქმნელად (ასაშენებლად) საჭირო თანხა.
ღირებულება	მოსაზრება - ყველაზე მეტად მოსალოდნელი ფასის შესახებ, რომელსაც აქტივში გადაიხდიან გაცვლის პროცესში, ან აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შესახებ (მათ შორის საიჯარო ქირით მიღებული ან ჰიპოთეკური შემოსავლების შესახებ);
უძრავი ქონება	მიწა, შენობები და სხვა მიწაზე მყარად დაკავშირებული მატერიალური სახით გამოხატული გაუმჯობესებანი.
გაუმჯობესება	შენობა, აღჭურვილობა ან მიწის ნაკვეთის ცვლილება, რომელსაც გააჩნია მუდმივი ხასიათი და დაკავშირებულია შრომით და კაპიტალურ დანახარებთან და მოწოდებულია ამაღლოს ქონების სარგებლობა და ღირებულება. გაუმჯობესებას გააჩნია გამოყენების სხვადასხვა მახასიათებლები და ეკონომიკური სიცოცხლის სხვადასხვა ვადა.



დანახარჯე - წარმოადგენს ფასს, რომელიც გადახდილია საქონელსა თუ მომსახურებაში, ან ფულად თანხას რომელიც საჭიროა მომსახურების ან საქონლის შექმინისათვის.

გამოყენებითი ღირებულება - შესაფასებელი ობიექტის ღირებულება, მიღებული იმ ვარაუდით, რომ იგი არ იქნება გაყიდული ღია, თავისუფალ და კონკურენტუნარიან ბაზარზე, არამედ გამოიყენება იმავე დანიშნულებით, როგორც გამოიყენებოდა შეფასების თარიღისათვის.

გაცვლითი ღირებულება - შესაფასებელი ობიექტის ღირებულება მიღებული იმ ვარაუდით, რომ ობიექტი გაიყიდება თავისუფალ და კონკურენტუნარიან ბაზარზე, მოთხოვნა შეთავაზების პირობების წონასწორობისას.

რეალური ღირებულება - არის გარიგების მსურველ კონკრეტულ მხარეებს შორის აქტივის ან ვალდებულებების გადაცემის შეფასებითი ფასი, რომელიც ასახავს მხარეთა ინდივიდუალურ ინტერესებს.

შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულება - სტანდარტის შესაბამისად ობიექტის საბაზრო ღირებულება მოიაზრება, როგორც ყველაზე რეალური ფასი, რომლითაც შესაფასებელი ობიექტი შეიძლება გასხვისდეს ღია ბაზარზე კონკურენციის პირობებში, როდესაც გარიგების მხარეები მოქმედებენ კეთილგონივრულად, ფლობენ ყველა აუცილებელ ინფორმაციას და ფასის სიდიდეზე გავლენას არ ახდენს რომელიმე განსაკუთრებული გარემოება.

„გამშლილი ხელის“ პრინციპით ტრანსაქციისას ნიშნავს, რომ მხარეებს შორის არ არსებობს არავითარი განსაკუთრებული ან სპეციალური ურთიერთობები.

დასკვნაში მოყვანილი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით 2019 წლის 5 სექტემბერის, მდგომარეობით 11.40 კვ/მ ფართის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს 15 390.00 ლარს (ს/კ 05.21.28.020.01.502).

შეფასების ზღვრული ცდომილება შეადგენს 8-10%-ს.

შეფასების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. ინფლაციის დონე +/- 10%.

დირექტორი
ალექსანდრე ალავერდაშვილი



აუდიტორი
გიორგი ჯიბლაძე

